# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-199

10/02/2021

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შპს „ველის" 10000 მ³ მოცულობის მიწისზედა ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „ველის" 10000 მ³ მოცულობის მიწისზედა ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N8 (26.01.2021);
2. შპს „ველი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N8 (26.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ველს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ველის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი